



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 166

2011 წლის 25 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის #41 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2010 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 მარტის #41 განკარგულების შესაბამისად:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის #41 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთიდან _ 325 ლარი მიიმართოს სოფელ ახალშენში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების დასრულების მიზნით მასალების შესყიდვისათვის
2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. #2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე

